სსიპ
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

24.05.2013 № 101

თბილისი

ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთათვის
სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 10 აპრილის №122 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 21 მაისის №924 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ 150-ლარიანი სახელმწიფო სტიპენდია 2013 წლის პირველი მარტიდან 2013 წლის პირველ აგვისტომდე 5 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის სტუდენტებს, რომლებსაც 2012–2013 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით (სტუ-ს რექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს N106 ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში – 2013 წლის 21 იანვრიდან 16 თებერვლის ჩათვლით) აქვთ მაღალი რეიტინგი, არანაკლებ 91%-ისა, შეიძლება დაენიშნოთ პრეზიდენტის სტიპენდია;
4. სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევისას ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
5. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა

სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს;

6. ამ ბრძანების შესაბამისად სტიპენდიანტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან (2013 წლის 21 მარტის მდგომარეობით);
   - სამშენებლო ფაკულტეტი – 38 სტუდენტი;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 59 სტუდენტი;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 27 სტუდენტი;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 40 სტუდენტი;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 55 სტუდენტი;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 20 სტუდენტი;
   - ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი – 175 სტუდენტი;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 140 სტუდენტი;
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ.მაისურაძე*